

წელი ცვიბიოვილი

განაკრძობილი განსაზღვრების ერთი სტილისტიკური ფუნქციისათვის

როგორც ცნობილია, უმეტესად განკერძოვდება საზღვრულის შემდეგ მდგარი, სხვა წევრებით გავრცობილი განსაზღვრება (მსაზღვრელი). მაგალითად:

... მწყემსი, გულში დაქრილი, თოვზე წევს, სისხლი შადრევანით ამოსდის და გულსაკლავად გმინავს (ვაჟა).

ხალხი, წუთის წინად სულგანაბული, ეხლა მზიარულად ჰყაყანებდა და ლაზღანდარობდა კიდევ (ილია).

პოეზია, შერჩეული სიტყვის ხელოვნებით, ამშვენებებს სიყვარულს, ვნებას, აღამაზებს ქვეყანას (მ. გოგიბ.).

სპეციალურ ლიტერატურაში ძირითადად გარკვეულია განსაზღვრების განკერძოების ხელშემწყობი პირობები, ტიპები განკერძობილი განსაზღვრებისა და მისი სტილისტიკური ფუნქციები¹.

ჩვენი მსჯელობის საგანია ისეთი განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც ქვემდებარეს ან დამატებას ახლავს (ან მათ როლს კისრულობს). მნიშვნელობით კი შემასმენელს უკავშირდება და შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ახალ იერს, ნიუანსს მატებს. გაირჩევა ორი ჯგუფი ამგვარი განკერძოებული განსაზღვრებისა:

1. განკერძოებული განსაზღვრება ახლავს ნაცვალსახელით გამოხატულ ქვემდებარეს (ან დამატებას)².

¹ იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, VII—VIII კლ. სახელმძღვანელო; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 271—279; რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959; გ. შალამბერიძე, რ. გაბეჩაძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974, გვ. 114—118 და სხვ.

² ლ. კვაჭაძე განკერძოების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად აღნიშნავს შემდეგს: „... ნაცვალსახელებთან, როგორც წესი, არ შეიძლება სიტყვათა შეკავშირებაში შევიდეს განსაზღვრება, რის გამოც ეს უკანასკნელი განკერძოებულია“. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 270.

ა) მოსდევს მას:

... ლუარსაბმა კი, ნებიერმა ლუარსაბმა, ხანდისხან განაზება იცოდა. ქვეშაგები-დანვე ის გულგადაღელილი³ ტანტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით (ილია).

რამდენიმე ხანს ისე ჩუმად, ავზნებულის თვლებით უყურებდა ციცკა თავის სატრფო ნუნუს და ის კი თავდაღუნული, თვალეზბა შვეებული რალაცა მირთოლვარე გაყუჩებით ცახცახებდა (ალ. ყაზბ.).

— მეც წამიყვანე, მეც, — ვამბობდი მე, მისკენ ხელეზბაპყრობილი, ვცილობდი თან გავყოლოდი (ვაჟა).

ის კი, სიბნელეში საიმედოდ შეეყუყულო, ერთსა და იმავეს იმეორებდა (ო. ჭილ.).

ბ) წინ უსწრებს⁴:

... პოლიტიკური მოსახრებიდან გამოსული, იგი თვალსაჩინო თანხებს ხარჯავდა ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობაზე (მ. ვოგიბ.).

... იმდროინდელი ბიზანტიურ-ბერძნული ცივილიზაციის წიაღში აღზრდილი, ძველი ბერძნული კლასიკური კულტურის ცოდნაში დაოსტატებული იგი ცდილობდა ქართველებისათვის საბოლოოდ ჩამოეყალიბებია სამეცნიერო თეორეტიული ტერმინოლოგია (მ. ვოგიბ.).

2. განკერძოებული განსაზღვრება განმარტოებულა, საზღვრული წევრი კი, რომელიც გამოტოვებულა, ადვილად იგულისხმება ზმნის პირისა თუ წინათ ნათქვამის მიხედვით⁵.

ა) საზღვრული წევრი იგულისხმება ზმნის პირის მიხედვით:

გადავიწერე პირჯვარი, შევწირე ღმერთს მადლობა და წამოვედი შინ აბჯარ-აბგრით დატვირთული (ვაჟა).

აი, ახლაც თოვლში ვღვაჯართ, დილის არყით ოდნავ შემთბარანი (გ. შატბ.).

... სულ ასე მიდის ჩემი ცხოვრება. დაედივარ ქალაქიდან ქალაქში, ვმღერი, სახეგაბრწყინებული თავს ვუკრავ აღტაცებულ მსმენელებს (ა. სულაკ.).

ბ) საზღვრული წევრი იგულისხმება წინათ ნათქვამის მიხედვით:

ბოლოს, რომ მეტი გზა აღარ იყო, პეტრე წამოდგა და, იმ ბიჭის უამბობით წყურვილ-მოუკვლელი მივიდა, მედუქნეს გაუსწორდა (ილია).

მგელი კლდის ძირას მიგდებულყო და გაღეშილი, გათოშილი ქს-ქსებდა (ვაჟა).

მოლობულ ლატანზე თერას ფეხი უსხლტებოდა, მაგრამ ბიჭის დონიერ მაჯაზე დანდობილი თავს იმაგრებდა (გ. შატბ.).

³ აქაც და ყველგან ვიცავთ მწერლის (თუ ავტორის) პუნქტუაციას.

⁴ შევნიშნავთ, რომ ამგვარი კონსტრუქციები ქარბობს სამეცნიერო და პუბლიცისტურ ნაწერებში.

⁵ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 272.

უცებ ბიჭმა სალამურის დაკრა შეწყვიტა და სმენადქცეული, ერთ წერტილს დააქერდა (გ. შატბ.).

ამ ტიპის განკერძოებული განსაზღვრების როლში (როგორც, საერთოდ, განკერძოებული განსაზღვრებისა) ძირითადად ვნებითი გვარის მიმღეობა გამოდის. შეიძლება შეგვხვდეს საშუალო და მოქმედებითი გვარის მიმღეობებიც⁶. მაგალითად:

ამას წინათ, მაკასთან მიმავალი, ვარაზის აღმართს ფებით რომ მიეყვებოდი, მანქანას მუხრუჭები მოეშალა („ციხსკარი“).

... იმას, ოსიკოს შემხედვარეს, თეატრი და საერთოდ ხელოვნება ჭირის დღესავით სძულდა — შეილი წამართვა ხელოვნებამ, ყანაში აღარ მესმარებოთ (გ. დონან.).

... თოხზე მომუშავე, რაღაცით დიდქალაქელს ჰგავდა, დიდი ქალაქის არტისტული საზოგადოებიდან გამონაბერბულსაც კი (რ. ინან.).

შეიძლება შეგვხვდეს ამგვარი განკერძოებული განსაზღვრების როლში ზედსართავი სახელებიც. მაგალითად:

ვის დავაბარო იმასთან ჩემი გულის დარდები? აქედან იქ არავინ წავა. საბრალოს, იმასაც ძალიან ვუყვარდი (ვაჟა).

მანქანა ნელ-ნელა დაიძრა. მერე სისწრაფეს უმატა. ზიკზიკა, ღონიერი, ამყავდ მთარღვევდა სამკალდ გამზადებული პურის ყანებით ამოვსებულ სივრცეს (რ. ინან.).

ღვინის ვაჭარი ბახა ბენდიერი იყო, სიცოცხლე რომ ვრძელდებოდა... სარდაფის იდუმალი წილიდან ამომავალ ხმებსა და სურნელს სადამომდე რომ უქუთავდა თვალებს, ოქროსზეწვიან კატასავით ნებიერი (ო. ჭილ.).

თხელი, სიფრიფანა აიტუხა და ხმას არ იღებდა. მომეჩვენა, თითქოს სიფითრემ გადაჰკრა (ა. სულაჯ.).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, განკერძოებული განსაზღვრება შემასმენელთან შეიძლება იყოს როგორც წინა, ისე მომდევნო, როგორც კონტაქტურ, ისე დისტანციურ პოზიციაში. თვის განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება იყოს გაუვრცობელიც (ოდენ მიმღეობით გამოხატული) და სხვა წევრებით გავრცობილიც (ორ- და მეტშემადგენლიანი შესიტყვება). მაგალითად:

1. განკერძოებული განსაზღვრება შემასმენელთან კონტაქტურ (წინა და მომდევნო) პოზიციაშია და გაუვრცობელია:

⁶ რ. შამელაშვილს შენიშნული აქვს: „ყველაზე ხშირად განკერძოებულ განსაზღვრებად მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობები ჩანს, ამას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული მასალების აბსოლუტური უმრავლესობა: მაგალითების საერთო რაოდენობის 93,5 % სწორედ მიმღეობაზე მოდის“. იხ. რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, გვ. 99. აგრეთვე, ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 190.

ოტიამ წაიბანა ხელი და... მოწყურებული, სკლიდა სტაქანს სტაქანზე წყალმაჭარას (დ. კლდ.).

... მევენახეები წვიმიან ამინდშიც გალუმპულეები კრეფდნენ ყურძენს... (ა. ხორჯ.).

განჯინასთან მიიჭრება დედა... ლურჯ ქილას გამოიღებს, სუფრისაყენ გააქანებს თვალგაბრწყინებულს (გ. შატბ.).

ალარ იცის, სად წაიღოს ხელები ბიჭმა, ხან ჭიქას წაატანა, ხან... დარცხენით ზის, თავჩალუნული (გ. შატბ.).

მომდევნო პოზიციაში მყოფი მიმღეობა უფრო დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულია და უმეტეს შემთხვევაში პუნქტუაციურადაც გამოყოფილია:

მისა გაიმართა, წავიდა, ფეხებჩამოსორსლილი, ნახევრად გაშაგებულს (რ. ინან.).

იგი გაქურდულივით იღვა, დაცარიელებული (ა. სულაკ.).

კონტაქტურ წინა პოზიციაში მყოფი გაუფრცობელი განკერძობებული განსაზღვრება კი შემასმენელთან, განსაკუთრებით, გარდაუვალი ერთპირიანი ზმნით გამოხატულ შემასმენელთან, მყარ სინტაქსურ წყვილს ქმნის და იგი ალარც აღიქმება როგორც განკერძობებული განსაზღვრება. მაგალითად:

მღვდლის შორიხლო ის უბედური მუშა... ქანცგაწყვეტილი ფართალვბდა (ილია).

ახალგაზრდა დედოფალი მოახლეთა შორის სულგანაბული იჯდა (ნ. ლორთქ.).

ხიზამბარელს ეს სიტყვები არ ესმოდა, ჩაფიქრებული იღვა (გ. შატბ.).

2. განკერძობებული განსაზღვრება შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაშია, მაგრამ თვითონ ორ-ან ორზე მეტშემადგენლიან შესიტყვებას წარმოადგენს. მაგალითად:

...ამ ბერი-კაცს შეეტყო ეს ამბავი, მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხეში მოხუხული ქვითინებდა ჩუმად (ილია).

ირემი ზურგზე რქებგადაგდებულს გარბოდა, უკანმიწეულს სიკვდილს წინშეგახებული ერჩინა (ვაჟა).

ეკვირინე ერთი წუთით მიიძალა და ისევ გამოჩნდა... მოხუცებული აღამიანის კუნკულით გამოექანა ამათყენ და, შედმართში ამორბენით აქლოშინებულს მიესალმა სტუმარს (დ. კლდ.).

მამის მკერდზე თავმოდებულს ვფიქრობდი, რომ ეს დღე არასოდეს გათავდებოდა (თ. ქილ.).

ჩამოდიოდა გორის ფერდზე შავხალათიანი მხედარი... თავს ამოდენა ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობდა და საამონირვანაში გადასული მოდილინებდა (რ. ინან.).

3. განკერძოებული განსაზღვრება შემასმენელთან წინა დისტანციურ პოზიციაშია (თვითონ გაუვრცობელია):

... იმედგადაწყვეტილი მარტო იმას-ლა ეშურებოდა, ისე არ მომიკვდეს, რომ ხმა არ გამცეს, არა მითხრას-რაო (ილია).

სვავებს, ორბებს, ყაჭირებს, ყვავებს და სხვა მოსისხლე ფრინველთაც უკვე სუნი აეღოთ... მადააღძრულნი გარშემო თვალბს აფეთებდნენ (ვაჟა).

სოლომონი გამოეთხოვა ყველას და გაწიწმატებული სულ ჩაქჩაქით მიარბენინებდა თავის პატარა ჯორს (დ. კლდ.).

... იმ ამბის შემდეგ პარმენა დვალმა, მთელს გუბერნიაში სახელგაყარდნილმა თამადამ, სმას თავი მიანება და, შეფიქრიაანებული, ღამდამობით ვარსკვლავებს უჭვრიტინებდა (გ. ღოჩან.).

4. მომდევნო, დისტანციურ პოზიციაშია (თვითონ არის გავრცობილი):

კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა (ილია).

... დადის ზურგზე ხელებდაწყობილი, თითქოს ვიღაცას ეპარებო (ნ. ლორთქ.).

... იგი საწერ მაგიდას უჯდა დომინიკელი ბერის ანაფორაში გახვეული (გ. ქიქ.).

5. დისტანციურ პოზიციაშია, თვითონაც გავრცობილია:

ჩამოვიდნენ მიწაზე, დაჰყვნენ ნაპირ-ნაპირ წყალს, შუბლზე ხელშემოდებულნი (რ. ინან.).

ეტლში აფრასიონი იდგა, სადავე მაჯაზე დაეხვია და, ოღნავ უკან გადახნიქილი, ადგილზე აშეშებდა ცხენებს (ო. ჭილ.).

... პირველი გამარჯვების შემდეგ ლიპარიტისათვის უღალატნით და შეუპოვარ ბრძოლაში ძლეული, სპარსელებს ტყვედ წაუყვანიათ (გ. მადრ.).

ასე ზღურბლთან აეტუხა მარტოობა, ფეხაკრფით შეიპარა, ღამის გასათევი ითხოვა და მერე ერთადერთ ტახტზე ფეხმორთხმული, მბრძანებლად შემოჯდა („ცისკარი“).

... მალე ფრონტზეც გავიდა, მერე კი ჯარისკაცად დაცემული ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, ჯარისკაცური სურათიც არ დაჩენია („ლიტ. საქ.“).

ნებისმიერ პოზიციაში განკერძოებული განსაზღვრება ზმნა-შემასმენელთან ქმნის წყვილს; ოღონდ, განკერძოების ხარისხი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მატულობს, თუ განკერძოებული განსაზღვრება დისტანციურ პოზიციაშია შემასმენელთან და თვითონაც გავრცობილია (იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები)⁷.

⁷ საერთოდ, ცნობილია, რომ, რაც უფრო დიდია სიტყვათა ჯგუფი, მით უფრო რთულია იგი სინტაქსურად... რაც უფრო მეტი სიტყვა შედის ჯგუფში, მით უფრო იზრდება შანსი განკერძოებისა... А. А. Пешковский, Русский синтаксис в науч-

თუ თვალს გადავივლებთ სხვადასხვა პოზიციაში მყოფ გავრცობილ თუ გაუვრცობელ განკერძოებულ განსაზღვრებას, ერთი შეხედვით, პოზიცია განსაზღვრავს განკერძოებული განსაზღვრების სტილისტიკურ ფუნქციებს.

ვთქვათ, განკერძოებული განსაზღვრების დისტანციურ პოზიციაში ყოფნისას შემასმენელთან ყურადღებას იქცევს სამი შემთხვევა:

1. განკერძოებულ განსაზღვრებასა და შემასმენელს შორის არსებითი სახელით გამოხატული წევრია; 2. განკერძოებული განსაზღვრება უსწრებს ან მოსდევს ზედსართავი სახელით ან ნაცვალსახელით გამოხატულ წევრს (განსაზღვრებას); 3. შემასმენელსა და მიმღეობას შორის ვითარების ზმნიზედაა. დავიწყოთ უკანასკნელი შემთხვევით.

ვითარების ზმნიზედის გვერდით განკერძოებული განსაზღვრება ვითარების გარემოების ფუნქციით უფრო იტვირთება. თუ იგი თვითონ არ არის გავრცობილი სხვა წევრებით, სინტაქსურ-სემანტიკური კავშირი მასა და ვითარების გარემოებას შორის უფრო მჭიდროა; ისინი ერთგვაროვან წევრებად გვევლინებიან და წინადადება აგებულებით შერწყმულს ემსგავსება. მაგალითად:

თერა წინ გადახრილი, ქშენით აღიოდა აღმართზე (გ. შატბ.).

...სრულებითაც არ სიამოვნებდა, მისი მსახური ბიჭი იმანო უსაქმოდ რომ იდგა და გულხელდაკრეფილი, არხეინად მიჰყუდებოდა კარს (ო. ჭილ.).
ბეჟანი დაუდგრომელი იყო, შემტვეი... ახლა კი ფერდაკარგული მღუმარედ იწვა და შიშნასვამ თვალებს საბრალისად აცეცებდა (ა. სულაყ.).

სურათი არ იცვლება, როცა განკერძოებულ განსაზღვრებას მომდევნო პოზიცია (შეიძლება, წინადადებაში — სულ ბოლო პოზიცია) უჭირავს. მაგალითად:

ამგვარად მიდიოდნენ ისინი ჩუმად, ხმაგაკმენდილები (აღ. ყაზბ.).

ცოლსა და ქალიშვილს თევდორეს წინ დაეჩოქნათ და ახლა კი ხმამალა, ქვითინით დასტიროდნენ მომკვდავსაც და მიცვალებულსაც... ერთს — აშკარად, მეორეს — მისკენ მიუხედავად, ზურგშექცეულნი (გ. შატბ.).

შეიძლება ვითარების ზმნიზედასთან დაჯგუფდეს რამდენიმე განკერძოებული განსაზღვრება:

...აქ მდგომი ხალხი, სულგანაბული, გაყუჩებული, გაჩუმებული ხმამოუღებლად შესჩერებოდა ამ უმსგავს სურათს (ვაჟა).

დადიოდა ახლო-მახლო მიდამოებში ყვინჩილა კუშტად, გაფხორილი, კობებზეკრული, ტანს მოხდენილად მიმოარხევდა (ფ. გიორგ.).

НОМ освещении, М., 1935, გვ. 375; შ. აფრიდონიძე, სიტყვათვანლავება ქართულ მარტივ წინადადებაში, საქანდ. დისერტაცია, თბ., 1971, გვ. 122.

ღრუბლებს დაბლა მხოლოდ ერთი წეროლა დარჩა. ის, ფეხებდაშვებულ-
ლი, კისერდაგრძელებული, გამწარებით იქნედა ფრთებს (რ. ინან.)⁸.

აღნიშნული ფუნქცია უფრო ხელშესახები ხდება, თუ განკერძო-
ბული განსაზღვრება სინტაქსურ წყვილს ქმნის ასე//ეგრე ვითარების
ზმნიზედასთან. მაგალითად:

ლეანი სახურავის კრამიტთან ფერდზე წამოწვა გულადმა... დაავალეს — ცის-
თვის ეცქირა და ასე წამოწოლილი უფრო მოხერხებულად უმზერდა ცას
(ა. ხულაყ.).

— კაი, კაცო, ახლა; ასე გულხელდაკრეფილი როგორ დავჯდე!
(ო. იოს.).

... ვინ იცის, ამ აღმართზე ეს უკვე მერამდენედ აღიოდა ასე გულხელ-
დაკრეფილი (გ. შატბ.).

ხიზამბარელი უცებ შეინძრა, ეგრევე დაიოქილი, სულ ახლოს მიუჩოჩდა
ლოდს (გ. შატბ.).

ვითარების გარემოების ფუნქციას არ კარგავს, მაგრამ განკერ-
ძობულობას უფრო ინარჩუნებს მიმღეობა იმ შემთხვევაში, თუ ასე
ვითარების ზმნიზედასა და მას შორის სხვა წევრებია ჩართული. მაგა-
ლითად:

... იდგა ასე შუა ოთახში ხელებგაშვებული, ცარცით გასვრილ
თითებს შუბლზე მოისვამდა და მოჩვენებას დაემგვანებოდა (თ. ქილ.).

ანდრომ ისევ მიაბრუნ-მოაბრუნა თავი და მშველელს დაუწყო თვალებით ძებ-
ნა, მაგრამ ეტყობოდა ის, ვისაც ასე შუა კარებში გარჩენილი ელოდა,
არსად ჩანდა (ო. იოს.).

შეიძლება ასე ზმნიზედა შემასმენელთან ქმნიდეს წყვილს, კრავ-
დეს წინადადების კონსტრუქციას, განკერძობულ განსაზღვრებას კი
სულ ბოლო პოზიცია ეჭიროს, აღნიშნული ზმნიზედის ერთგვარ გამ-
ლა-დაზუსტებას წარმოადგენდეს (დამოკიდებული წინადადების ბადა-
ლი იყოს). მაგალითად:

ჩანთა ისევ მარცხენა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული და ასე მიდიოდა
აღმართზე — თავდახრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი

(რ. ინან).

... (ქარისამ) უცებ იგრძნო, როგორ ბრაზდებოდა... იმიტომ კი არა, საშინელების
მოლოდინი რომ გაუწბილდა, არამედ იმიტომ, ასე რომ იჯდა ქმრისა და შვი-
ლების თვალწინ, დაღლილი კაცისვით მობუხული, კალთაში ხე-
ლებჩაწყობილი (ო. ქილ.).

⁸ ძირითადად ამგვარი შემთხვევების საფუძველზე თვის მიძღვობის სახ.
ბრუნვის ფორმას ვითარების გარემოებად ივ. იმნაიშვილი: ივ. იმნაიშვილი,
სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957,
გვ. 675—676.

განკერძოებული განსაზღვრება უფრო ინარჩუნებს სინტაქსური თვალსაზრისით დამოუკიდებლობას ვითარების გარემოების გვერდით. თუ იგი გავრცობილია სხვა წევრებით (თუნდაც ორშემადგენლიანი შესიტყვება). მაგალითად:

... ერთი მათგანი სიკვდილამდე არ დავიწყებია ფრიქსეს. უკვე დაჯავჯავებულსაც ეისობრებოდა და შიშისაგან გაოფლილი ფეთინივით წამოხტებოდა ხოლმე საწოლიდან (ო. ქილ.).

იულიამ თმის ვარცხნა მიატოვა და დარაბები მიხურა, მოტრიალდა, კედელს მიყრდნობილი უხმოდ მიაჩერდა მეწისქვილეს (ა. სულაჯ.).

გავრცობის ხარისხის მატებასთან ერთად მატულობს განკერძოების ხარისხიც⁹. მაგალითად:

...თვითონ მეთევზე კი არაფერს ამბობდა. პალტოს ჯიბეებში ხელეზ-ჩაწყობილი უხმოდ მიჰყვებოდა ტასოს (ა. სულაჯ.).

ბიჭი მსუქანი იყო... ღონიერი და თავის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული, უტიფრად იყურებოდა (თ. ქილ.).

...ლექსაც მომიგრებია მუხლი. თანამედროვე სოფლის ტკივილით და სიხარულით აღვსილი და ავტორის მოძალეებული საფიქრალთ ფრთაშესხმული, მკაფიოდ ამტყველებულა (სხოვლ. ცხოვრ.).

თუ ვითარების ზმნიზედასთან მეზობლობაში განკერძოებული განსაზღვრება კვლავ შემასმენელთან რჩება სინტაქსურ წყვილში, ოღონდ, ფუნქციით ვითარების გარემოებას უახლოვდება, რომელიმე სახელით (არსებითით, ზედსართავითა თუ ნაცვალსახელით) გამოხატული წევრის გვერდით იგი შეიძლება სახელთან აღმოჩნდეს მოულოდნელ, შეუხამებელ სინტაქსურ წყვილში.

თუ მიმღებობს (განკერძოებულ განსაზღვრებას) მოსდევს ზედსართავი სახელით (ან ნაცვალსახელით) გამოხატული წევრი, მაშინ იგი ამ უკანასკნელთან ჩგუფდება, როგორც ჩვეულებრივი განსაზღვრება და მასთან ერთად განსაზღვრავს საზღვრულ წევრს. დაკავშირება უფრო ადვილად, ბუნებრივად ხდება, თუ არ არსებობს სემანტიკური დაბრკოლება. მაგალითად:

გივი ავანსცენაზე გამოვიდა და სახეგაბრწყინებული, ნამდვილი არტისტივით თავს უქნევდა დარბაზს (ა. სულაჯ.).

ბუნებრივი წყვილებია: **ნამდვილი არტისტივით და სახეგაბრწყინებული არტისტივით.**

⁹ აქ და ყველგან ვგულისხმობთ მიმღებობის სემანტიკურ განკერძოებას (მიმოყოლი წევრებითურთ) და არა პუნქტუაციურად გამოხატულს.

გაკვეთილების შემდეგ სპორტულ წრეებს ამეცადინებდა და გულჩახვეუ-
ლი, პირქუში მამის თვალს გაურბოდა (გ. შატბ.).

მამა პირქუშიც და გულჩახვეულიც?

არსებითი სახელით გამოხატული წევრის გვერდით განკერძოებუ-
ლი განსაზღვრება შეიძლება ატრიბუტული მსაზღვრელის როლში გა-
მოვიდეს, მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური წყვილი შექმნას სე-
მანტიკურად მისგან დაშორებულ სიტყვასთან. მაგალითად:

მისი გამრჩეობა ბევრ ახალგაზრდა ქალს შესურდებოდა. ზოგჯერ, მუშაობა-
ში გართული ბავშვივით ჩაიკისკისებდა (თ. ჭილ.).

(ქალი) ჩაიკისკისებდა მუშაობაში გართული. შეიქმნა კი წყვი-
ლი — მუშაობაში გართული ბავშვივით (ჩაიკისკიდებდა).

ეს უცნაური სინჟმე... თვალმდებარეებულ ცხენს აკრთობდა და აძაგძაგებ-
და... გაკავებულ თაგის გაქნევას ცდილობდა (გ. შატბ.).

ცხენი გაკავებულია; თაგის გაქნევას ცდილობს. გამოდის კი —
ცხენს თაგი აქვს გაკავებული.

მომდევნო სახელთან განკერძოებული განსაზღვრების დაწყვილე-
ბის საფრთხე იხსენება შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ ისინი სემანტიკურად ძალიან დაშორებულები არიან ერთ-
მანეთს. მაგალითად:

სამზარეულოს ღიად დარჩენილი კარიდან კატამ გამოყო თაგი... კულაპრე-
ხილი ნებიერი კრუტუნით მიეგლისა კარს (ა. სულაქ.).

კულაპრეხილი კრუტუნი შეუძლებელი სიტყვათშეხამებაა. ამი-
ტომ განკერძოებული განსაზღვრება (კულაპრეხილი) მომდევნო ზედ-
სართავ სახელთან ვერ დაჯგუფდება როგორც ერთგვაროვანი წევრი.

... როჭოს ბუმბული იელ-ციელით მიდ-მოდიოდა გაფანტული უფსკრუ-
ლის თავზე (ვაჟა).

უფსკრული ვერ იქნება გაფანტული.

ობოლი შეკრთა... ხელებს ფათური დაუწყო, დედას ეძებდა... ხელებგაფარ-
ჩხული მიწის იატაკზე გაერთხა და გაისმა საზარელი, გულსაკლავი ქვითინი (ვაჟა).

ამ შემთხვევაში სემანტიკურად შეუძლებელი წყვილია ხელებგა-
ფარჩხული მიწის.

2. თუ განკერძოებული განსაზღვრება და სახელი ფორმით სცილ-
დებიან ერთმანეთს: სხვადასხვა ბრუნვაში არიან. მაგალითად:

ა) განკერძოებული განსაზღვრება ზმნა-შემასმენლის მიერ არის
მართული ბრუნვაში; მომდევნო განსაზღვრება კი (ზედსართავით ან

ნაცვალსახელით გამოხატული) საზღვრულ სახელთან არის შეთანხმებული.

გაბოს არც უცდია დაძინება, პირქვედამხობილი ბებრულ ცრემლებს ღვრიდა (ა. სულაყ.).

ბებრულ ცრემლებს, მაგრამ პირქვედამხობილი ღვრიდა.

ფრიქსეს ვაყები ახლა ყოველდღე იკრიბებოდნენ მამასთან. იქადა დაბრუნებულიებს, ისეთი სახეები ედოთ, თითქოს დიდ დანაშაულს ჩადიდნენ (ო. ჭილ.).

ისეთი სახეები, მაგრამ ედოთ დაბრუნებულებს.

ბ) განკერძოებული განსაზღვრებაც და მომდევნო არსებითი სახელიც შემასმენლის მიერ არიან მართული, მაგრამ — სხვადასხვა ბრუნვაში:

... დასთვლიმა და რა მოესიზმრა! ირმად ქცეულიყო, მშვენიერი ტანისა, ბოჯოჯოღა რქებით შემოსილი, ყელმოღერებული სხვა ირმებთან ერთად დანავარდობდა ტყეში (ვაჟა).

შდრ. რომ ყოფილიყო: ... ყელმოღერებული სხვა ირმების გვერდით დანავარდობდა ტყეში, მაშინ განკერძოებული განსაზღვრების (და, ამდენად, მთელი წინადადების) სხვაგვარი გააზრიანება შეიძლება.

... სპილოსავით უპამბულებია ამსისქე კაცი, უხენეშებია, იქამდე მიუყვანია, რომ არაქათგამოცლილი იატაკზე დაცემულა (გ. ხორგ.).

დათოს თავი უსკდებოდა ტყვილისაგან. ტყვილი ისევ ქუთუთოებზე ჩამოაწვა და დაუძინა. გაბრუნებული მირიანზე ფიქრობდა (ა. სულაყ.).

რესტორანთან რომ მიხვალ, იქ გამიჩერე, — თქვა და წახრილმა ფანჯარაში დაიწყო ყურება (რ. ინან.).

3. როცა განკერძოებული განსაზღვრება გავრცობილია. მაგალითად:

მერვე სართულზე ლიფტიდან გამოსული ჩემი ბინის კარს რომ ვაღებდი, ტელეფონის ზარი მომესმა („ციხკარი“).

... იმ საბედისწერო ცნობების შემდეგ ლოგინად ჩავარდა და ცხელებით შეპყრობილი რამდენიმე დღე ბორგავდა („თბილ.“).

დათა უკვე დამჯდარიყო, ხელები ქურთუყის ჯიბეში ჩაედო და, სკამის სახურავულს მიყრდნობილი, ალერსიანი თვალით უყურებდა ძმაკაცებს (რ. ინან.).

(შევიწინავთ, რომ ამ წინადადებაში განკერძოებული განსაზღვრება ბუნქტუაციურადაც გამოყოფილია).

ამასობაში მთლიანად ტალახში ამოსვრილი ჭიშკარს გავუსწორდი, რომ უცებ კარმა დაიჭრიალა (ო. იოს.).

მოხუცი ნაღვლიანად უღიმის სივრცეს... პატარა ხანს უკან თიხის ჯამს ისევ ასწევს, ქვევრზე მხარში ბჯენილი თავს დინჯად მიატრიალებს, ჩახველებს და გაბზარული ხმით ქვევრის პირს ეუბნება: — აბა, ეს ერთიც დავლიოთ! (ფ. გიორგ.).

ნებისმიერი სახელით გამოხატულ წევრთან განკერძოებული განსაზღვრების კონტაქტურ პოზიციაში ყოფნისას ყოველგვარი სტილისტიკური უხერხულობა იხსნება, თუ განკერძოებული განსაზღვრება, წესისამებრ, მიძიმებით არის გამოყოფილი წინადადების სხვა წევრებისაგან. მაგალითად:

... ის ნაფოტით ჩექმიდან ტალახს იცილებდა და, თავჩაღუნული, საქმით იყო ვართული (თ. ქილი).

... გაფითრებულ, აცხაცახებულ, შიში რომ დაძლიოს, ყვირილს დაიწყებს („ციცქარი“).

ლუკა რალაცნაირად დაჩიავდა, მოტყდა. ხელებჩამოყრილი, გორაკის თავზე იდგა. მოიბუზა, აღარ იცოდა, რა ექნა (გ. დოჩანქ).

მაგრამ, რაკი თუნდაც უკანასკნელ მაგალითებში განკერძოებული განსაზღვრება და მომდევნო სახელი სემანტიკურად დაშორებულები არიან ერთმანეთს (ე. ი. არ არსებობს მათი დაწყვილების საფრთხე), იქნებ არ არის აუცილებელი მიმღებობით გამოხატული წევრის (განკერძოებულ განსაზღვრებას რომ ვუწოდებთ) გამოყოფა წინადადების სხვა წევრებისაგან მიძიმებით? არის თუ არა იგი დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეული?¹⁰

ჯერ ვნახოთ, რა სემანტიკური დატვირთვა აქვს ამ წევრს წინადადებაში; რა ფუნქციას ასრულებს. თუ მისი ფუნქცია მართლაც წინადადებაში ამ წევრის პოზიციით არის განსაზღვრული?

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოდენ მიმღებობით (იშვიათად — ზედსართავით) ან მიმღებობიანი შესიტყვებით გამოხატული ეს წევრი წინადადებისა შემასმენელთან ქმნის წყვილს; შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ახალ იერს აძლევს და ფუნქციით გარემოებით სიტყვებს უახლოვდება. ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს იგი ვითარე-

¹⁰ წინადადების წევრთა განკერძოების პირობებზე მსჯელობისას ლ. კვაჭაძე აღნიშნავს: „... განკერძოება ზოგჯერ იმითაა გამოწვეული, რომ თავიდან იქნეს აცდენილი ამა თუ იმ წევრის იმ სიტყვასთან დაკავშირება, რომელთანაც იგი არ შედის სიტყვათა შეკავშირებაში: ასეთ დროს აღარაფერს ერიდებოდა და, გაწეწილი, გრიგალივით დაჰქროდა (ჯავ.) განუკერძოებლობის შემთხვევაში გაწეწილი იქცეოდა განსაზღვრებად სიტყვისა გრიგალივით“... ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 270. ე. ი. განკერძოებულია ის განსაზღვრება, რომელიც გამოყოფილია მიძიმებით (ან — რომელიც, იძულებული ვართ, გამოვყოთ მიძიმებით). ჩვენი ამოსავალი დებულება კი ასეთია: თუ განკერძოებულია სემანტიკურად და სინტაქსური როლის მიხედვით, უნდა გამოვყოთ მიძიმებით!

მოხუცი ნაღვლიანად უღიმის სივრცეს... პატარა ხანს უკან თიხის ჯამს ისევ ასწევს, ქვევრზე მხარში ბჯენილი თავს დინჯად მიატრიალებს, ჩაახველებს და გაბზარული ხმით ქვევრის პირს ეუბნება: — აბა, ეს ერთიც დავლიოთ! (ფ. გიორგი).

ნებისმიერი სახელით გამოხატულ წევრთან განკერძოებული განსაზღვრების კონტაქტურ პოზიციაში ყოფნისას ყოველგვარი სტილისტიკური უხერხულობა იხსნება, თუ განკერძოებული განსაზღვრება, წესისამებრ, მძიმეებით არის გამოყოფილი წინადადების სხვა წევრებისაგან. მაგალითად:

... ის ნაფოტით ჩექმიდან ტალახს იცილებდა და, თავჩაღუნული, საქმით იყო ვართული (თ. ჭილი).

... გაფითრებულ, აცხაცახებულ, შიში რომ დაძლიოს, ყვირილს დაიწყებს („ციხიარო“).

ლუკა რაღაცნაირად დაჩიავდა, მოტყდა. ხელე ბჩამოყრილი, გორაკის თავზე იდგა. მოიბუზა, აღარ იცოდა, რა ექნა (გ. დოჩანჯი).

მაგრამ, რაკი თუნდაც უკანასკნელ მაგალითებში განკერძოებული განსაზღვრება და მომდევნო სახელი სემანტიკურად დაშორებულები არიან ერთმანეთს (ე. ი. არ არსებობს მათი დაწყვილების საფრთხე), იქნებ არ არის აუცილებელი მიმღეობით გამოხატული წევრის (განკერძოებულ განსაზღვრებას რომ ვუწოდებთ) გამოყოფა წინადადების სხვა წევრებისაგან მძიმეებით? არის თუ არა იგი დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეული?¹⁰

ჯერ ვნახოთ, რა სემანტიკური დატვირთვა აქვს ამ წევრს წინადადებაში; რა ფუნქციას ასრულებს. თუ მისი ფუნქცია მართლაც წინადადებაში ამ წევრის პოზიციით არის განსაზღვრული?

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოდენ მიმღეობით (იშვიათად — ზედსართავით) ან მიმღეობიანი შესიტყვებით გამოხატული ეს წევრი წინადადებისა შემასმენელთან ქმნის წყვილს; შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ახალ იერს აძლევს და ფუნქციით გარემოებით სიტყვებს უახლოვდება. ყველაზე მეტ სიახლოვეს ამქლავნებს იგი ვითარე-

¹⁰ წინადადების წევრთა განკერძოების პირობებზე მსჯელობისას ლ. კვაჭაძე აღნიშნავს: „... განკერძოება ზოგჯერ იმითაა გამოწვეული, რომ თავიდან იქნეს აცდენილი ამა თუ იმ წევრის იმ სიტყვასთან დაკავშირება, რომელთანაც იგი არ შედის სიტყვათა შეკავშირებაში: ასეთ დროს აღარაფერს ერიდებოდა და, გაწეწილი, გრიგალივით დაჰქროდა (ჯავ.) განუკერძოებლობის შემთხვევაში გაწეწილი იტყოდა განსაზღვრებად სიტყვისა გრიგალივით...“ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 270. ე. ი. განკერძოებულია ის განსაზღვრება, რომელიც გამოყოფილია მძიმეებით (ან — რომელიც, იძულებული ვართ, გამოვყოთ მძიმეებით). ჩვენი ამოსავალი დებულება კი ასეთია: თუ განკერძოებულია სემანტიკურად და სინტაქსური როლის მიხედვით, უნდა გამოვყოთ მძიმეებით!

ბის გარემოებასთან (არა მარტო ვითარების ზმნიზედის მეზობლობაში, ზემოთ რომ განვიხილეთ). მაგალითად:

ყველა იმ აზრზე დადგა, რომ დაეჩვილებოდა ფიცხელა, მოეკლათ სათაგვეთის გამოჩენილი გმირი, და ისიც გულჩათხუთქული მუხლმოკვეთილი მოელოდა სიკვდილს (ვაჟა).

შეთევზე მოთვინიერებულებით იდგა ამ პატარა ქალიშვილის წინ და ბავშვივით გახარებულნი, ჩასცქეროდა უნისლო თვლებში (ა. სულაჯ.).

სკოლაშიაც თავისთვის იყო ნათია, მზეზე თბებოდა ყოველთვის, იდგა რომელიმე სამხეურ კედელს აკრული და იქიდან უცქერდა ბავშვების თამაშს (ო. იოს.).

... ლაპარაკობდა კიდევ უფრო შორეულ მომავალზე, როდესაც მზე გაცივდება და აღამიანები ყინულის მღვიმეებში დაიძინებენ სამუდამოდ, მარმარილოს და გრანიტის ქანდაკებებს ჩახუტებულნი (გ. ქიქ.).

შეიძლება მას სხვა გარემოებათა ნიუანსებიც შევნიშნოთ¹¹. მაგალითად: ა) მიზეზის გარემოებისა:

... არჩილმა ქუსლიც ჰკრა და მათრახიც გადაუსვა ცხენს, რომელიც ძლივს აძუგდუნდა, ბუმბერაზ მხედრის სიმძიმით წელგაწყვეტილი (ნ. ლორთქ.).

... მტკვარს დავცქეროდი, დავცქეროდი და ვეღარ ვცნობდი ჩემს ძველ მეგობარს: ბეტონის ჩებირებში მომწყვდეული დაღინჯებულიყო, შეუმჩნევლად მიედინებოდა (ა. სულაჯ.).

ბ) დროის გარემოებისა:

წელან გელაპარაკებოდი ბრმა... ეხლა, შენის მადლიანი ენით თვალხილული, გეუბნები: ის მამა შეილის დამღუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შეილის გასაწურთენელად და არ გააწურთენიანებს (ილია).

აღმართზე მიმავალი ისევ სკოლის მეგობარზე ფიქრობდა (ა. სულაჯ.).

ლურჯი ტალღები ხმაურით აწყდებოდნენ ნაპირს და ქაფადქცეულნი ხმაურითვე ბრუნდებოდნენ უკან (ა. სულაჯ.).

თუ განკერძოებულ განსაზღვრებათა დიდ ნაწილს შეიძლება ჩაე-

¹¹ განკერძოებული განსაზღვრების უნარი — გადმოსცეს სხვადასხვა სახის გარემოება — გაკერძოებული შენიშნული აქვს ლ. კვაჭაძეს. ჩამოთვლის რა განკერძოებული განსაზღვრების ძირითად ფუნქციებს, იგი აღნიშნავს: „... (განკერძოებულ განსაზღვრებას) ახლავს გარემოების მნიშვნელობა (მაგ. მიზეზისა, დროისა, პირობისა, დათმობისა): გამხნეებულნი მეფის გამარჯვებით, ჩვენი ჯარი დაერია დაწიკვებულ ლეკ-ოსმალთ და დაუწყო თიბვა როგორც ბალახს (ვაჟა). შდრ.: რადგანაც გამხნეებულნი იყო მეფის გამარჯვებით...“, ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 275. ეს ერთადერთი მაგალითია დასახელებული და არც ის არის მითითებული, თუ, კერძოდ, როგორ განკერძოებულ განსაზღვრებას აქვს ეს ფუნქცია...

ნაცვლოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, აღნიშნულ შესიტყვებებს ვერ შევცვლით განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით. ისინი უფრო გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებით შეიცვლებიან, უკეთ კი — რა კავშირითა და მეშველი ზმნით შედგენილი კონსტრუქციით (არის რა... იყო რა...), ე. ი. კონსტრუქციით, რომელიც ინდო-ევროპული ენების, კერძოდ რუსული ენის, აბსოლუტივს („დეებრიჩასტიეს“) უტოლდება. ავიღოთ, მაგალითად, ზემოთ განხილული წინადადებები, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო წევრს თითქოს ვითარების გარემოების აშკარად გამოხატული ფუნქცია აქვს:

თერა წინ გადახრილი, ქშენით აღიოდა აღმართზე (გ. შატბ.).
ამგვარად მიდიოდნენ ისინი ჩუმად, ხმაგაკმენდილები (აღ. უაზზ.).

ორსავე წინადადებაში მიმღეობით გამოხატული წევრი ვითარების გარემოების უშუალო მეზობლობაშია და თითქოს მასთანვე ჯგუფდება ფუნქციურად. მაგრამ მათ შორის აშკარა სხვაობაა: ვითარების გარემოება (პირველ წინადადებაში ქშენით, მეორე წინადადებაში — ჩუმად) სემანტიკურადაც და სინტაქსურადაც (მირთვით) მხოლოდ შემასმენელთანაა დაკავშირებული. ჩვენთვის საინტერესო წევრი კი შემასმენლის მიერაა მართული ბრუნვაში, შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას აძლევს გარკვეულ ელფერს, მაგრამ კავშირი დეკარგული არა აქვს საზღვრულ სახელთანაც (სუბიექტთან), რომლისგანაც იგი განკერძობებულია, განცალკევებულია (თერაა წინ გადახრილი; ისინი არიან ხმაგაკმენდილები). ორსავე წინადადებაში მიმღეობით გამოხატული წევრი შეიძლება შევცვალოთ შემდეგი კონსტრუქციით:

თერა, წინ იყო რა გადახრილი (წინ გადახრილიყო რა), ქშენათ აღიოდა აღმართზე.

ამგვარად მიდიოდნენ ისინი ჩუმად, იყვნენ რა ხმაგაკმენდილები (გაკმინდათ რა ხმა).

ე. ი. თუ ჩავუკვირდებით, მიმღეობით გამოხატული წევრის რეალური ფუნქცია ამ წინადადებებში არის აბსოლუტივის გამოხატვა და არა ვითარების გარემოებისა. ეს არის ამ წევრის ფუნქცია ნებისმიერ პოზიციაში. ვთქვათ, შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში მყოფი ეს წევრი, სხვა წევრებით გაუზრცობელი, სუბიექტის (ან ობიექტის) როლშიც გვევლინება, მაგრამ აბსოლუტივის ფუნქცია აქაც აშკარადდება. მაგალითად:

... მალა ახედვას ვერ ბედავდა. თავდახრილი ელოდა პირნახულ ქედზე საბედისწერო მახვილის დაცემას (გ. შატბ.).

შესიტყვება თავდახრილი ელოდა შეიძლება გაიშალოს კონსტრუქციად: თავდახრილი იყო რა, ელოდა (თავი დაეხარა და ელოდა)...

... მთელი დღე დაჩოქილი შევლადადებ ღმერთს, რომ გამხადოს ღირსი ძვირფასი შვილობილის ნახვისა (ვაჟა).

(დაჩოქილი შევლადადებ = დაჩოქილი ვარ რა, შევლადადებ).

ძია ალე შინიდან გაიქცა და ახლა კოშკში ცხოვრობს... თივა მოიტანა და ღამით ამ თივაში სძინავს, ფარაჯა გააუხდელს (თ. ჭილ.).

(ფარაჯა არ გაუხდია რა, ფარაჯა რომ არ გაუხდია...).

მეორე დღეს უნივერსიტეტში არ წავსულვარ, ღამენათევსა და დაღლილს გვიან გამეღვიძა (ა. სულაკ.).

(ვიყავი რა ღამენათევი და დაღლილი, გვიან გამეღვიძა).

ცხადად იგრძნობა აბსოლუტივის სემანტიკა (და მიმლეობის პრედიკაცია) მაშინ, როცა მიმლეობით გამოხატულ წვერს უშუალოდ ახლავს დამოკიდებული წინადადება. მაგალითად:

რადენი მართლაც ჩაიცივამდა, გამოეწყობოდა, საღღაც კიდეცა გასწევდა, ეზოს გადაღმა ფეხს გადაადგამდა, მაგრამ მეორე-მესამე თვეზე შინ ბრუნდებოდა ისევე მამასთან, დაღონებულს, რომ საქმე ვერაფერი იშოვა (დ. კლდ.).

... წინაპრის ცოდნისათვის თავისიცი მიემატებინა, ცოდნას კი სიფხიზლე წაერთმია, რაც ასე სჭირდებოდა მის წინაპარს, გამოქვაბულში დაყურსული, გულის ფანქვალით რომ თვისებდა გარე სამყაროს იღუმალ ნემებს (ო. ჭილ.).

ახალ სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებულ პლატონს გაახსენდა, მანქანით მისრიალებული, რა მკაცრად სჭიდა ტრანსპორტის გამო დაგვიანებულებს („წინაინგი“).

შემასმენელთან ამ წვერის კავშირი და მისი ფუნქცია თითქოს ხაზგასმულია წინადადებებში, რომლებშიც შემასმენელი მეორდება გარკვეული სტილისტიკური დატვირთვით. მაგალითად:

ჯარისკაცები წვიმაში მოდიოდნენ, მოდიოდნენ თავით ფეხამდე გაწუწულნი (ა. სულაკ.).

ზაფხულობით სულ ეზოში ზის. ზის აგურის კედელს მიყრდნობილი და თვლემს (თ. ჭილ.).

კარგად ჩნდება აბსოლუტივის ფუნქცია თარგმანის ენაში, საინტერესოა ამ მხრივ რუსული და ქართული ტექსტების შედარება¹². მო-

¹² აქვე შევნიშნავთ, რომ რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში გამოპყობენ ისეთ განკერძოებულ განსაზღვრებებს, რომლებიც შეთანხმებული არიან ქვემდებარესთან, მაგრამ ამავე დროს შინაარსით შემასმენელსაც უკავშირდებიან და გარემოების მნიშვნელობა აქვთ. „Такие обособленные определения могут быть названы обстоятельственными определениями. По значению они соотносительны с обстоятельствами, выраженными дееспричастными оборотами с формой *будучи*,

ვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს ნ. გოგოლის „მკვდარი სულებიდან“ და მ. შოლოხოვის „წყნარი დონიდან“.

— უიმე, ეს რა გინება მეყურება! — თქვა დედაბერმა და შეშინებული სახეში შეაჩერდა (დ. კასრ. თარგმ.).

— Ах, какие ты забранки пригинаешь! — сказала старуха, глядя на него со страхом (Н. Гоголь).

... სიძე ახლა სულაც არ იყო საშიში, ვინაიდან საკმაოდ დამძიმდა და სკამზე ჩამოშვდარს ყოველ წუთს თავი ძირს უვარდებოდა (დ. კასრ.).

...Зять вряд ли мог быть человеком опасным, потому что нагружился, кажется, вдоволь и, сидя на стуле, ежеминутно клевался носом (Н. Гоголь).

დონს ყალუხე შემღვარი ნისლი დასწოლოდა და ცარცის გორაკის ფერდობებზე ფენებად შემკვრივებულ ი, ციციბოზე ნაცრისფერი უთავო გველივით მოცურავდა (თ. ჯავახ. თარგმ.).

Над Доном на дыбах ходил туман и, пластаясь по откосу меловой горы, сползал в яры серой безголовой гадюкой (М. Шолохов).

... ჩაცუცქებულეებმა, კანკალით გაშალეს დახეული ბადე (თ. ჯავახ.).

...Присев на корточки, дрожа разбирают спутанный комом бредня (М. Шолохов).

... გრიგორი უნაგირზე ყალმუხურად იჯდა, ოდნავ მარცხნივ გადახრილი, მარჯვედ იქნევედა მათრახს (თ. ჯავახ.).

...Григорий сидел по-калмыцки, слегка свесившись на левый бок, ухарски помахивая плетью (М. Шолохов).

გეტკო კი თავჩაღუნული, თითქოს ქაში იყურებო, ათვალერებდა გადარეულ ბავშვებს და გულკეთილად იღიმებოდა! (თ. ჯავახ.).

...(Гетька) наклоняя голову, Будто в колодец засматривая, оглядывал бесновавшихся ребят и ... снисходительно улыбался (М. Шолохов).

ცხოვრობდნენ ისინი ქვეყანას მოწყვეტილნი, ჰანუიკებით დამაგრებულ დარბეებში გამოკეტილნი (თ. ჯავახ.).

Жили, закрывшись от всего синего мира наружными и внутренними, на болтах, ставнями (М. Шолохов).

სერგეი პლატონის მარცხენა წარბი უთრთოდა, მუქწითლად მოუჩანდა ვაღმობრუნებული ზედა ლაში და კისერწამოწეული მთლიანად წინ იხრებოდა (თ. ჯავახ.).

У Сергея Платоновича дрожала левая бровь и шерилась, выворачивая бордовую изнанку, верхняя губа. Вытягивая шею, он весь клонился вперед (М. Шолохов).

რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ ქართულიდან რუსულად თარგმნილი ტექსტიდანაც.

დიდხანს ვიჯექი, მოლოდინით გატრუნული და ბოლოს ძივხვდი, რომ მან უკვე დიდი ხანია გაიღვიძა (ნ. დუმბ.).

и придаточными предложениями с соответствующими обстоятельственными значениями». Грамматика русского языка, т. II, ч. I, Изд. АН СССР, М., 1960, გვ. 642.

Долго сидел я, затаив дыхание, а потом понял, что Нуну давно уже не спит¹³.

სიზმარში არწივივით თავისუფალი უნდა იყო, ქვეყანას ზევებიდან უნდა დაჰყურებდნენ მხარგაშლილი (ნ. დუმბა).

Во сне он (человек) должен быть вольным как орел, и гордо парить над миром, широко расправив крылья.

მღეროდა შოშია და მთელი ციხე სულგანაბული... უსმენდა მის ცრემლიან გალობას (ნ. დუმბ.).

Пел Шошина и вся тюрьма затаив дыхание внимала его печальной песне.

ამ თვალსაზრისით თარგმანის ენა ცალკე შესწავლას მოითხოვს...

მაშ, ჩვენთვის საინტერესო წევრს სავსებით გარკვეული ფუნქცია აღმოაჩნდა წინადადებაში. როგორია მისი სინტაქსური დამოკიდებულება სხვა წევრებთან?

იგი მართულია ბრუნვაში შემასმენლის მიერ. მაგალითად: გარდამავალ ზმნასთან II სერიაში იგი მოთხრობით ბრუნვაშია:

... წყრომა აღარ სჩანდა იმის ტბა-თვალში... კიდევ გული მომეცა და გაჩაღისებულმა ვუთხარი (ილია).

ვაჟი, როგორც ჩანს, უცხოს არავის მოელოდა ამიტომ კარი ხალათის დილებზე შეუკრავმა გააღო („საქ. ქალი“).

... მას რაიმე სერიოზული, საყურადღებო პრობლემის დასმა კი არ უცდია, არამედ საკუთარი პატივმოყვარეობის გრძნობას აყალიბდა ჩრდილი მიაყენა მისივე ყოფილი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, დირექციას („კომ.“).

III სერიაში — მიცემითში:

... სიმშლით შეწუხებულს ბევრჯელ უთხოვნია დვისათვის: „ღმერთო, ჩვენო გამჩენო, მომეც საზრდო“ (ვაჟა).

ერთი კი ცხადი იყო: უკან ვერასოდეს ვეღარ შემოდგამდა ფეხს. უკან დასაბრუნებელი გზა სამუდამოდ უნდა დაევიწყა, დაწყველილსა და შეჩვენებულს (ო. ქილ).

როგორც რეალური, ისე მორფოლოგიური თბიექტის როლში ეს წევრი მიცემით ბრუნვაშია მართული:

... მთელ ამ სიჭრელეს გელა ვერ ამჩნევდა. დაბნეულს კიდევ დაავიწყდა, ცნობათა ბიურო სად იყო („ცისკარი“).

გალავანს გარეთ რომ გამოვედით, პეპია და ის სწეული ტუსალი ურემზედ დასვეს. სიავეს შეჩვეულსა, ეს რუსების სიკეთე გამოვივინდა (ილია).

ქართლში ბარამის სახელით ცნობილს, მეციხოვნე თურქებმა და გათურქებულმა ქართველებმა ბარამ-გურჯი შეარქვეს (გ. შატბ.).

¹³ სანიმუშოდ ავიღეთ ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ თარგმანი: Н. Думбадзе, Белые флаги, перевод З. Ахвледиани, Тб., 1974.

... განიერ ტახტზე ჭალარაშერთულ გამხდარ ქალს სძინავს... თ ვ ა ლ მ ო ხ უ-
ჭ უ ლ ს ფ ი ქ რ ი ა ნ ი ს ა ხ ე ა ქ ე ს, დ ა ნ ა ო კ ე ბ უ ლ ი (გ. შ ა ტ ბ).

... ახალგაზრდა ჩანდა, მაგრამ მზით დამწვარს და თმა გადახუ-
ნებულს სახე ძალიან გატეხილი ჰქონდა (რ. ინან).

... ცარიელ-ტარიელს ხანდახან შინ შემოსვლაც ეზარებოდა („ცაბკარი“).

შემასმენელთან მიმღეობის პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს:
დისტანციურ პოზიციაში მყოფი მიმღეობა მაინც იმართვის ბრუნვაში
შემასმენლის მიერ. მეორე მხრივ, კონტაქტურ პოზიციაში ჩყოფმა შე-
მასმენელმა შეიძლება იგი ვერ მართოს.

მხოლოდ რამდენიმე მაგალითი შეგვხვდა, რომ მიმღეობა არ არის
მართული ბრუნვაში შემასმენლის მიერ. მათგან სამ წინადადებაში
შემასმენლად გვევლინება ერთპირიანი (წარმოშობით ორპირიანი) ზმნა
ჩაიკეცა, რომელიც (ისევე როგორც ამ რიგის ზოგიერთი სხვა ზმნა)
სუბიექტის ბრუნვაში მართვის მხრივ ზოგჯერ ერთპირიან ზმნებს
მიჰყვება. მაგალითად:

— მე რა გირჩიო? მე რა გირჩიო, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა სონიამ და
გ უ ლ დ ა თ უ თ ქ უ ლ ი ი ქ ე ვ ჩ ა ი კ ე ც ა (დ. კ ლ დ).

არ დაუნახავს, როგორ გამოეღია გოგონას ძალა, როგორ დატურდა ხის გლუვ
ზროზე და სასოწარკვეთილი იქვე ჩაიკეცა (რ. ინან).

თეიმურაზი თვალბგაშეშებული შეჰყურებდა კუბოს, ვერ გრძნობდა, რომ ტი-
როდა, თვალი და ლოყა ცრემლით ჰქონდა სველი. მის ავ ა თ ე ბ უ ლ ი ხ ის ძირას
ჩაიკეცა (ნ. მოღებაძე).

დანარჩენი მაგალითები ასეთია:

ერთხელ ესე დაღონებული ტახტზედ გულდაღმა იწვა ლუარსაბი. ძალიან ცუდ
გუნებაზე იყო. ხ მ ა გ ა კ მ ე ნ დ ი ლ ი ჰ ე რ ს გა უ შ ტ ე რ ა თ ვ ა ლ ი და პ დ ი ქ რ ო ბ დ ა
(ილია).

... გამოეწიეთ ქალაქისაკენ, გა ბ ო რ ო ტ ე ბ უ ლ ნ ი, მ თ ე ლ ს ქ ე ვ ყ ა ნ ა-
ზ ე დ გ უ ლ ა მ დ ვ რ ე უ ლ ნ ი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტ-
რეთ ყველას (ილია).

... მ თ ე ლ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე შ ე ე ძ ლ ო და წ ო ლ ი ლ ი ე ქ ა მ ა პ უ რ ი
(ო. იოს.).

შეიძლება ვიფიქროთ: მიმღეობა მთელი წინადადების ტოლადაა
აღქმული (ე. ი. ნომინატიურ წინადადებებს უახლოვდება) — აბსო-
ლუტივის სემანტიკის მქონე კონსტრუქციით. ვთქვათ, ასე: 1. ... ძა-
ლიან ცუდ გუნებაზე იყო (ლუარსაბი). იყო რა ხ მ ა გ ა კ მ ე ნ დ ი ლ ი (ხ მ ა
გ ა ე კ მ ი ნ დ ა რ ა), ჰ ე რ ს გა უ შ ტ ე რ ა თ ვ ა ლ ი...

2. ... გამოეწიეთ ქალაქისაკენ, ვიყავით რა (გავხდით რა) გა ბ ო-
რ ო ტ ე ბ უ ლ ნ ი მ თ ე ლ ს ქ ე ვ ყ ა ნ ა ზ ე დ გ უ ლ ა მ დ ვ რ ე უ ლ ნ ი. გადავემტერეთ
ქვეყანას...¹⁴

¹⁴ კორექტორული შეცდომა პუნქტუაციაში არ უნდა გვექონდეს: შემოწმდა რამ-
დენიმე გამოცემაში.

ამ აზრის სასარგებლოდვე მეტყველებს ისევ ილიას ენიდან ასეთო წინადადება:

ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ. წარბ შეკრული და გულდახურული, თითქოს რაღაცას ითმენსო და თავის თავს ძალას ატანსო, შინაგანი მღელვარება არავის ამცნოსო (ილია).

აქ მიმღეობა (სუბიექტის განსაზღვრება) დასახელებულია მხოლოდ. ზმნა-შემასმენელი გამოტოვებულია (პრედიკაცია თითქოს თვითონ მიმღეობას უტვირთავს). ე. ი. მიმღეობა — საზღვრულდაკარგული განსაზღვრება — მთელი წინადადების როლში გამოდის.

გარკვეული ანალოგი ეძებნება ამ კონსტრუქციას „ვეფხისტყაოსნის“ ენაში დადასტურებულ წინადადების ბადალ კონსტრუქციებთან, როცა სახელური სინტაგმები კისრულობენ დაქვემდებარებული, მთავრის ამხსნელი წინადადების როლს. მაგალითად:

პატრონი, ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი, მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი. მას ვუორგულე, წამოვე, მით დავიფიწყე ყოველი...

საზგასმული „ნაერთი სიტყვებისა“ გამოდის მესამე ტაეპის — მთავრის ბადალი წინადადების — ამხსნელი, დაქვემდებარებული წინადადების როლში¹⁵.

შეიძლება ხდება ფუნქციათა აღრევა: ზმნასთან სინტაქსურ წყვილში მოხვედრილი მიმღეობა აღიქმება როგორც ვითარების გარემოება და არ იმართვის ბრუნვაში. მით უმეტეს, რომ უფრო ხშირად გვხვდება სახელობით ბრუნვაში, მოსალოდნელი მოთხრობითის ან მიცემითის ნაცვლად, ერთპირიან ზმნებთან კონტაქტურ ბოზიციამი მყოფი, სხვა წევრებით გაუვრცობელი განსაზღვრებანი, რომლებიც უფრო ახლოს არიან ფუნქციურად ვითარების გარემოებასთან, ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრებანი“. მაგალითად¹⁶:

— რა ცალები? — იკითხა იმან და გაშტერებული დაუწყო უტრება (ყაზ.) ხვარაშხეს თავჩაქინდრული ეძინა (გვ. 25); ფეხშიშველი მოიარა გელათი და მოწამეთა (ლორთქ., 2, 118)...

როგორი ახსნაც უნდა დაეძებნოს აღნიშნულ შემთხვევებს, წესით ყელგან უნდა გვექონდეს ბრუნვაში მართვა (მიმღეობისა ზმნა-შემასმენლის მიერ).

¹⁵ ივ. გიგინეიშვილი, რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, მაცნე, № 4, 1974, გვ. 103—112; გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975, გვ. 323—334.

¹⁶ იხ. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 193 (მაგალითებიც იქიდან მოგვყავს).

მიმღეობა შეწყობილია ზმნა-შემასმენელთან რიცხვში. თუ ბრუნვა მიმღეობისა უშუალოდ ზმნით უნდა იყოს გამოწვეული, რიცხვი საზღვრული სახელით გაშუალებული ჩანს. მაგალითად:

...ღვინიანი ტიკები ურემზე ეწყო, ტურებივით ყურებდა-
ცქვეტილები (ვაჟა).

ზმნა-შემასმენელი მხ. რიცხვშია (რადგან სუბიექტი უსულო საგნის ამსახველი სახელია). მიმღეობა კი მრავლობითშია — შეთანხმებულია მისგან დაშორებულ საზღვრულთან რიცხვში.

თუ შემასმენელი მრავლობითშია (უკვე შეთანხმებულია სუბიექტთან რიცხვში), მრავლობითშია მიმღეობაც, განურჩევლად იმისა, მისით ნაგულისხმები სუბიექტი სულიერი საგნის ამსახველია თუ უსულოსი. მაგალითად:

ლურჯი ტალღები ხმაურით აწყდებოდნენ ნაპირს და ქაფად-
ცქვეულნი ხმაურითვე ბრუნდებოდნენ უკან (ა. სულაქ).

მრ. რიცხვში გვექნება განკერძოებული განსაზღვრება იმ შემთხვევაშიც, როცა იგი კრებითი სახელით გამოხატულ ან რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრულ სუბიექტს ენაცვლება, ე. ი. აზრობრივ შეთანხმებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად:

...საქონელი ლალად გრძნობდა თავს: აღრე აპრილ ყანებში თავისუფლად
სძოვდნენ და უეცრად შემატებულნი კუდაპრეკილნი დან-
ავარდობდნენ (ნ. ლორთქ).

რამდენჯერაც წავიდა მათი გუნდი ზესტაფონში თუ ყვარელში სათამაშოდ, იმდენჯერ თავპირდასისხლიანებულლები დაბრუნდნენ („ცის-
კარი“).

ახალგაზრდების ჯგუფი მარინეს შემოხვეოდა და სახეაგზნებულე-
ბი, ხელების ქნევით რაღაცს ელაპარაკებოდნენ (თ. ჭილ).

ორი დედაკაცი კერძას უჭდა და „კაი“ სადილის მზადებაში
გართულნი, თითო-ოროლა სიტყვას თუ ესროდენ ერთმანეთს (ნ. ლორთქ).

ყველა ცხენი ადგილზე დაუხვდა, თოფრებში თავჩაყოფილნი
მადიანად ახრამუნებდნენ შვრიას (თ. ჭილ).

აღნიშნულ შემთხვევებში შემასმენლის რიცხვი მიმღეობით (გან-
კერძოებული განსაზღვრებით) ჩანს გამოწვეული.

შემასმენელს რიცხვში ეწყობა ნებისმიერ პოზიციაში მყოფი, სხვა
წევრებით გავრცობილი თუ გაუვრცობელი განკერძოებული განსაზ-
ღვრება (შეენიშნავთ, რომ იგი თანაბრად შეიძლება შეგვხვდეს რო-
გორც -ებ-იან, ისე ნარიან მრავლობითში).

მაგალითად: ა) წინა კონტაქტურ პოზიციაშია და გაუვრცობელია:

...შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხებებოდი თ-
სოფლის ორღობეებში უპატრონოდ (ილია).

...ჩვენც კვლავ უკან ვიხევდით, გაოცებულნი შევყურებდით ზღვის დაბადებას (გ. შატბ.).

...აბელმა თავისი ხელი შეაგება და ასე, ხელიხელჩაკიდებულნი წავიდნენ ქვემოთ (რ. ინან.).

ლაიტვირთნენ მგზავრები, შეკრეს-შემოკრეს ბარგი... და, დაზვიინულები, გაუდგნენ გზას (ა. სულაკ.).

ბ) მომდევნო კონტაქტურ პოზიციაშია და გაუვრცობელია:

მეკობარნი და ქალი ტყეს მიეფარნენ. ახლა სხვანი მოვიდენ, შეიარაღებულნი, დაფაციცებულნი (ვაჟა).

ისინი ჩუმაღ, უსიტყვოდ მიდიოდნენ, მოწყენილები და ჩაფიქრებულნი (ა. სულაკ.).

უსიმღეროდ როგორ გასძლებდნენ. ხელიხელს გადახვევდნენ საკინძე-გაღედილნი და გულიდან ამოიღებდნენ (გ. ხორგ.).

...და მიდიან თავჩაღუნულნი, თავიანთი ამონახუნთქი ორთქლის ნისლმოსხვეულები. გაოფლილ ცხენებსაც ოფლის ოხშივარი ასდით (ვ. ქელ.).

გ) წინა კონტაქტურ პოზიციაშია, თვითონ გავრცობილია:

ბილიკი თავისთავად მიგვასრიალებდა, დიდი სიმარჯვე და ოსტატობა არ გვეკირდებოდა. ერთ რიგად გაბაწრულნი მივსრიალებდით თოვლით დაბურულ ფიქვის ტყეში (ა. სულაკ.).

...გავედით ვრცელ, სწორ, თეთრ რიყეზე და, მზისაგან თვალეზმოქარილნი თუ აღმურდამდგარნი, უდაბური სივრცით შემეკრთალნი, შევჩერდით (რ. ინან.).

დ) წინა დისტანციურ პოზიციაშია, თვითონ გაუვრცობელია.

ზამთრობით აღარა ჰგალობენ ჩიტები: მწუხარე კილოზე ევიან და შეწუხებულნი აქეთ-იქით აწყდებიან (ვაჟა).

...მტრედები დაღლილები ჩანდნენ, ძლივს სუნთქავდნენ, დაფეთებულნი აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს (ა. სულაკ.).

მფრინავს ქუჩის ძაღლები აედევნენ, შემოეხვივნენ და გაწუწულნი ნელი ნაბიჯით გაჰყვნიენ (თ. ქილ.).

ე) წინა დისტანციურ პოზიციაშია, თვითონაც გავრცობილია:

კალმახები შურდულივით მიჰქროდნენ აღმა და, ერთმანეთის სიახლოვით გამხნეებულნი, უკანმოუხედავად ცდილობდნენ სამშვიდობოს გასვლას (გ. შატბ.).

აიეტის ქვეყანაში ქურდულად შემოპარულნი, მწარე ფიქრებს მისცემოდნენ (თ. ქილ.).

დედას შვილები ირგვლივ შემოსხდომოდნენ და დიდვივით დამწუხრებულნი, ხმას არ იღებდნენ (თ. ქილ.).

ვ) სულ ბოლო ადგილი უჭირავს წინადადებაში:

მათი შთამომავალნი იყვნენ, ჭიათურიდან რომ პირველ ქარაენად წამოვიდენ შავი ქვით დატვირთულნი (ნ. ლორთქ.).

დაპყრდნობიან ჯოხებს, წამოუსხამთ ვახუშეზული, დაძინძილი ფარაჯები, ეფიცებებიან მზეს და მასლაათობენ, თავს ირთობენ ხანგრძლივი წვიმით გუენებაშებეზრებულები (რ. ინან.).

ბრჭებმა თავ-თავიანთ საწლებისკენ მოკურცხლეს. დასხდნენ უკვე ჩაბნელებულ აივნებზე — მობუზულები, ყურებზე პალტოს სახელო-წამოწეულები (რ. ინან.).

მიმღეობისა და შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს დადასტურებული. თითქმის ყველა შემთხვევაში მიმღეობა მყარ სინტაქსურ წყვილს ქმნის ზმნასთან: თვითონ გაუფრცობელია, ზმნა გარდაუვალია, ერთპირიანია, თანაც — ძირითადად გარკვეული სემანტიკისა (კერძოდ, მზერა-თვალთვალისა). საზღვრულიც დაცულია. ე. ი. ეს არის ისევე ის შესიტყვებანი, რომლებსაც „პრედიკატულ განსაზღვრებას“ უწოდებენ. მაგალითად:

... ზოში მოფუსფუსე ნაცარა ქათმები ცალი თვალით, შეშინებული იმზირებოდნენ აივნისაკენ (გ. შატბ.).

... საიდანაც თითქოს სხვებიც უთვალთვალებდნენ, სუნთქვაშეკრულთ უთვალთვალებდნენ ჭაბუკისა და ლოდის ბრძოლას (გ. შატბ.).

ფეიქრობთ, მიმღეობა ერთი წევრით მაინც რომ ყოფილიყო გავრცობილი, მიმღეობა და შემასმენელი შეთანხმებულები იქნებოდნენ რიცხვში. გვექნებოდა, დაუშვათ, ასე:

... საოცრებისაგან (ან — მოსალოდნელი უბედურებისაგან) სუნთქვაშეკრულები უთვალთვალებდნენ ჭაბუკისა და ლოდის ბრძოლას...

... ვინ ღვის, რა სისულელეებით არა აქვს თავი გამოტენილი და ტყვეც თხებივით პირდაბჩენილი შესჩერებინხართ ხახაში (ო. იოს.).

აწ გზა მოფენილა ჭკებით,

წლებით მოცელილი ვსჭკნებით (მ. ლებან.).

მოსალოდნელი იყო: წლებით მოცელილნი ვჭკნებით.

მოსალოდნელი იყო, ასეთივე მდგომარეობა გვექონოდა დგომისა და მოძრაობის სემანტიკის ზმნებთან. მაგრამ გვაქვს:

მეწისქვილე შიშით გასცქეროდა მტკვარს — ხან აღმა, ხან დაღმა. წისქვილები ხმაგაკმენდილნი იდგნენ (ა. სულაკ.).

ისინი ცას მიშტერებულნი იდგნენ (ა. სულაკ.).

ერთმანეთის გვერდით გვაქვს:

ძაღლის ღრენამ გამოარკვია ბიჭები. შემკრთალნი უცებ მობრუნდნენ... შეშინებული ერთმანეთს მიეკვრნენ და ცივად გაუშვეს ტანისამოსს ხელი (ა. სულაკ.).

მასალის სიმცირის გამო კატეგორიული დასკვნის გამოტანა ჭირს. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ: მიმღეობის შემასმენელთან რიცხვში

შეუთანხმებლობას გარკვეულ შემთხვევებში იწვევს შედგენილ შემასმენელთან ანალოგია (ცნობილია, რომ, როცა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მიმღებობითაა გადმოცემული, იგი ხშირად არ უთანხმდება რიცხვში სუბიექტს). შდრ.: **შეშინებული იმზირებოდნენ და შეშინებული იყვნენ.**

მიმღება — განკერძობული განსაზღვრება — შეწყობილი უნდა იყოს შემასმენელთან რიცხვში: იგია ფაქტიურად წამყვანი წევრი (შემასმენლისათვის), მისი რიცხვიც და შემასმენლის რიცხვიც საზღვრული სახელით ჩანს გამოწვეული. ამას ადასტურებს ზემოთ განხილული მაგალითები.

მაშ, ჩვენთვის საინტერესო წევრი გარკვეული სემანტიკური ფუნქციისა და სინტაქსური როლის მქონეა. ეს არის საზღვრულდაკარგული, საზღვრულისაგან განცალკევებული, შემასმენელთან დაწყვილებული განკერძობული განსაზღვრება, რომელიც აბსოლუტივის შინაარსს გადმოგვცემს. რომ არ მოხდეს ფუნქციების აღრევა და ეს წევრი არ გაუტოლდეს სხვა წევრებს, ვთქვათ, ვითარების გარემოებას, იგი მიძიმებით უნდა გამოიყოს წინადადების სხვა წევრებისაგან. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც გვიჩვენებენ, რომ ზოგჯერ ერთი და იმავე მწერლის ენაშიც ეს მიმღებური კონსტრუქციები ხან გაგებულია განკერძობულ განსაზღვრებად, ხან — არა¹⁷.

კიდევ მოვიყვანთ საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს, პუნქტუაციურად გამოყოფილი განკერძობული განსაზღვრება რომ უნდა გვქონდეს და არა გვაქვს:

17 ჩამოთვლის რა განსაზღვრების განკერძობის ძირითად შემთხვევებს, რ. შამელაშვილი აღნიშნავს: „თუ საზღვრულს მოსდევს გაუვრცობელი ატრიბუტული მსაზღვრელი, წესით იგი არაა განკერძობული: ნელად მოლეღავს მოდუღუნე მტკვარი ანკარა“, მაგრამ როგორც პოეზიაში, ისე პროზაში სისტემატურად გვხვდება ასეთ შემთხვევაში განკერძობის ფაქტები. მაგალითები: მიყვარს თვალეზი, მიბნელიღები, ეშხისა ცეცხლით დაქანცულიბი. ცხვარი, დაფანტული, ტყეში შესულიყო... ანალოგიური მდგომარეობაა მაშინ, როცა განსაზღვრება კომპოზიტია და საზღვრულის შემდეგაა: ანუკამ, ჯოხ დაბჯენიღმა, მკედრის პატრონივით საცოღავად გაჰკივლა... ღიზა, დაღლიღ-დაქანცული, გაუხდელად ამოუჯდა გვერღში ქეთევანს...“ და დაასკვნის: „ასეთ შემთხვევაში განკერძობება მწერალზეა დამოკიდებული, სავალდებულო არაა იგი“ (ხაზგასმა ჩვენია, ნ. ც.) იხ. რ. შამელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 96. მკვლევარს ვერ დავეთანხმებით. ჯერ ერთი, ერთ სიბრტყეზე ვერ განვიხილავთ ყველა მოყვანილ მაგალითს. სხვადასხვაგვარად შეფასდება სახელთან და ზმნასთან წყვილში მყოფი ზედსართავი სახელები და მიმღებობები... მეორეც, დასადგენია (და არა მწერლის ნებასურვილზე მისაგდები), რა შემთხვევაშია აუცილებელი განსაზღვრების განკერძობება...

... ესა სთქვა და კმაყოფილი თავისი უბრყვილო ბედისა გადატრიალდა ერთის გვერდიდამ მეორეზედ ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი (ილია).

მზე ჩაწურავზედ იყო, რომ მე დათიკო დავინახე ცხენით მინდორ-მინდორ მომავალი (ილია).

... ამ ფიქრებით გართულმა გამოვრეკე შინ ჩემი საწყემსო (ვაჟა).
ელგუჯამ ველარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შე-
შინებულ და აღელვებულ, რაღაცა გამოუცდელის გრძნო-
ბისაგან დამონებულ მკერდს ძალზედ ეკვროდა (ალ. ყაზბ.).

... დაბლა კი იდგა დიდი ბებერი წნორი. მის ირგვლივ ყველა ხე რაღაცას ცდი-
ლობს — ყვავის, ნაყოფს ისხამს, მრავლდება, ის კი დგას და ტოტებ დახრილი
ფიქრობს, ფიქრობს (რ. ინან.).

მძიმეებით შეიძლება არ გამოვყოთ მხოლოდ ერთბირიან ზმნებ-
თან წინა, კონტაქტურ პოზიციაში მყოფი გაუვრცობელი ვანსაზღვრე-
ბანი, რომლებიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მყარ სინტაქსურ
წყვილს ქმნიან შემასმენელთან და აღარც აღიქმებიან განკერძოებულ
განსაზღვრებად. ისინი სინტაქსური როლის მხრივაც განირჩევიან
ზოგჯერ: შეიძლება არ იყონ მართული ბრუნვაში შემასმენლის მიერ
და არ შეუთანხმდნენ რიცხვში შემასმენელს (იხ. ზემოთ მოყვანილი
მაგალითები). ფუნქციით კი ისინიც აბსოლუტივს უტოლდებიან.

მსგავსება ამ ორი სინტაქსური ერთეულისა და განსხვავება მათ
შორის კარგად იჩენს თავს ისეთ წინადადებებში, სადაც ისინი ერთმა-
ნეთის გვერდით გვხვდება. მაგალითად:

ყველასაგან მოძულეებული და ყველასაგან შეჩვენებული
ღღესაც დაღონებული იწვა უდაბურს ტყეში (ვაჟა).

ორი, აბსოლუტივის ფუნქციის მქონე, განსაზღვრება გვაქვს, მაგ-
რამ პირველი გავრცობილია, ამდენად — უფრო დამოუკიდებელი და
უნდა გამოიყოს მძიმით!

წითელკრამიტაიანი სახლები თითქოს ტრიფოლიატების ცოცხალ ღობეებს შეეჩე-
რებინა და გარინდებულები იდგნენ ახლა ევკალიპტებისა და
აღვებში ჩაფლულნი (თ. ჭიფქ.).

ამ წინადადებაშიც ორი განსაზღვრება გვაქვს შემასმენელთან.
მძიმით უნდა გამოიყოს მომდევნო (წინადადების — ბოლო) პოზიცია-
ში მყოფი გავრცობილი განსაზღვრება.

თითქოს იცვლება სურათი: განსაზღვრება ინტონაციურად, მეტი
აზრობრივი დატვირთვის გამო, მოითხოვს მძიმეებით გამოყოფას შემ-
დეგ შემთხვევებში:

ა) როცა იგი კომპოზიტითაა გამოხატული. მაგალითად:

... მანქანა გაჩერდა. მძლოლი წინმიშტერებული, იცდიდა (რ. ინან.).

...მარცხენა ხელში ისევ ბოღჩადგამოკრული წავიდა შინისკენ (რ. ინან.).

... „ვეფხვი, ვეფხვიო“ — ყვიროდა აფრასიონი და თვალეზგაბრწყინებული ილიმებოდა (თ. ქილ.).

ჩემი ოცნება უკვე გაისრისა და მტვრადქცეული, გაქრა (თ. ქილ.).

ბ) როცა ერთ შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაშია ორი ან ორზე მეტი განსაზღვრება. მაგალითად:

„მწყერი კი მობუზული, თავბრუდასხმული იჯდა, ჯერ გონს ვერ მოსულიყო (ვაჟა).“

... მთელ დღეს ფეხზე ნადგომი, ერთიანად მოეშვებოდა და გაჩუმებულნი და მხრებჩამოყრილი ისვენებდა (თ. ქილ.).

... კვილი ხან შორიდან ისმოდა, ხან — ახლოდან. ხან — ბაკურიანის მხრიდან, ხან — ლიბანისა. შემკრთალი და დაბნეული მივქროდი (ა. სულაკ.).

გაბოროტებულო, გულდამწვარი, გულჩათუთქული მოვა-
ჯექ ცხენსა და დავეში იმ მთილამ უგზო-უკვლოდ (ილია).

გზაში შეჰხვდათ დიდი, გრძელი, სპეტაკ თოვლივით თეთრი შენობა, საიდანაც მშვენივრად ჩაძმული დედა ობლისა გამოჩნდა და თმაგაწეწილი, ხელეზგაშლილი, გაათრებული მიესია ფრინველს (ვაჟა).

გ) თუ წინადადებას გავავრცობთ: შემასმენლით ჩაკეტილ შესიტყვებას გავხსნით და გავზრდით შემასმენლის ჯგუფს. მაგალითად, შევადაროთ:

უცებ შუშაბანდიდან ბურღლუნი მოისმა. ეს პლატონი იყო. გამწარებული ბურღლუნებდა (ა. სულაკ.).

და: ... ეს პლატონი იყო. გამწარებული ბურღლუნებდა და მრისხანედ იყურებოდა ოთახისაკენ.

მეორე შემთხვევაში მიმღეობა ინტონაციურად უფრო მოითხოვს გამოყოფას.

თუმცა, აღნიშნულის მტკიცება ყველა კონკრეტული მაგალითის მიმართ გაჭირდება. ინტონაცია ვერ იქნება გადამწყვეტი პარობა პუნქტუაციისათვის.

შესიტყვება: მიმღეობა (ან ზედსართავი სახელი) + გარდაუვალი ზმნა (განსაკუთრებით — მოძრაობისა და მეტყველების სემანტიკის ზმნები) არ უნდა გამოიყოს მძიმეებით, რადგან იგი ქმნის მაინც დამოუკიდებელ სინტაქსურ ოდენობას, წინადადების უშუალო წევრად და ქცეული, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა დაფასებული¹⁸:

¹⁸ შევნიშნავთ ოლონდ, რომ ზოგჯერ ერთ სიბრტყეზე განიხილავენ შემასმენელთან წყვილში მყოფ გავრცობილ თუ გაფერცობელ განსაზღვრებებს (ზმნა-შემასმენლის ტიპების გაუთვალისწინებლადაც) ე. ი. არ განასხვავებენ აშკარა განკერძოებულ განსაზღვრებასა და წინადადების მონაწილე მყარ შესიტყვებას.

ივ. იმნაიშვილი მას ვითარების გარემოებად მიიჩნევს¹⁹. ალ. ლონტი — შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად²⁰. ლ. კვაჭაძე „პრედიკატულ განსაზღვრებას“ უწოდებს²¹. ნ. ბასილაია თვლის, რომ ამ წევრის ფუნქცია კითხვის მიხედვით განისაზღვრება: იგი ხან „პრედიკატული განსაზღვრებაა“, ხან — ვითარების გარემოება²².

ერთ საკითხში ყველა მკვლევარი თანხმდება: ეს წევრი წარმოშობით განსაზღვრებაა. ა. დავითიანი თვლის, რომ „... იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი ატრიბუტული მსაზღვრელის სემანტიკურ-სტილურ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს²³. ლ. კვაჭაძემ დაასაბუთა ამ წევრის განსხვავება შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისაგანაც და ვითარების გარემოებისაგანაც; უჩვენა, რომ მას ორმაგი სინტაქსური ბუნება აქვს. „იგი მეორეხარისხოვანი წევრია, რომელიც შემასმენლის ჯგუფში შედის, მაგრამ ამასთანავე დამოკიდებულია ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტზე და საგანს (ქვემდებარეს ან დამატება-ობიექტს) ახასიათებს ანუ განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით²⁴. ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტში რომ ახასიათებს საგანს, ეს არის ამოსავალი რ. ენუქიშვილისათვის, რომელმაც ამ წევრს „მომენტობრივი მახასიათებელი“ უწოდა²⁵. როგორც რ. ენუქაშვილმა დაასაბუთა, იგი ძველ ქართულ ენაშივე „რეალურად არსებული სინტაქსური ერთეულია“. ძველი ქართული ენის ძეგლებზე დაკვირვებამ ათქმევინა მკვლევარს: „მისი ჩამოყალიბება ჩვენთვის ძეგლებით ცნობილ პერიოდზე ადრე უნდა მომხდარიყო“²⁶.

ჩვენ ვთვლით, რომ ეს წევრი არ ჩამოყალიბებულა სხვა რომელიმე წევრისაგან. ეს არის ძველ ქართულ ენაშივე განკერძოებული²⁷

19 ივ. იმნაიშვილი, შედგენილი შემასმენელი ძვ. ქართულში, ბუშინის სახ. პედ. ინსტ. შრ., ტ. V, გვ. 211—212; მისივე, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძვ. ქართულში, თბ., 1957, გვ. 675—679.

20 ალ. ლონტი, ატრიბუტივანი შემასმენელი ქართულში, ცხინვალის პედ. ინსტ. შრომები, II, 1955, გვ. 254—256.

21 ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 185—194.

22 ნ. ბასილაია, პრედიკატული განსაზღვრების შესახებ ახ. ქართულში, ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, XVIII—XIX, 1968, გვ. 260.

23 ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 249.

24 ლ. კვაჭაძე, იქვე, გვ. 188 და 191—192.

25 რ. ენუქაშვილი, პრედიკატული განსაზღვრების საკითხი ძვ. ქართულში, ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 20, თბ., 1977, გვ. 161—162.

26 რ. ენუქაშვილი, იქვე გვ. 161.

27 თუ განკერძოებულ წევრებს მხოლოდ პუნქტუაციურად გამოყოფილ წევრებს ვუწოდებთ, ამ წევრს შეიძლება ვუწოდოთ განცალკევებული...

განსაზღვრება აბსოლუტივის ფუნქციით. მხოლოდ პოზიციამ გარკვეული აგებულებისა და სემანტიკის ზმნებთან განსაზღვრა შემასმენლისა და მიმღეობის მჭიდრო სინტაქსური წყვილისა და, ამდენად, დამოუკიდებელი სინტაქსური ოდენობის შექმნა...

ამგვარად, განხილული წევრი მორფოლოგიურ-სინტაქსურად არის განკერძოებული განსაზღვრება, ხოლო სემანტიკური როლის მიხედვით — აბსოლუტივი. ვიმეორებთ: იგი უნდა გამოიყოს მძიმეებით წინადადების სხვა წევრებისაგან (გარდა აღნიშნული გამოწვევისა); იმართოს ბრუნვაში შემასმენლის მიერ და რიცხვში შემასმენელს შეეწყოს.